პროლეტარიელებო, ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 32 (18574) | სამშაბათი, 8 თებერვალი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

## გაზეთის სახელოვანი თაგვილი

**საქართველოს** პარტიულ ორგანიზაციას გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ მიიჩნია საიმედო და მამაც თანამოსაგრედ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, დიდად აფასებს ავტორიტეტს, რომელიც გაზეთის კოლექტივმა მოიპოვა რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს შორის, ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში რედაქციის კოლექტივის, შტატგარეშე აქტივისა და გაზეთის ყველა მკითხველისადმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ დაარსებული გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე იყო და არის საბჭოთა ადამიანების მიღწევათა, ხალხთა ლენინური მეგობრობის მგზნებარე პროპაგანდისტი, კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა აქტიური ორგანიზატორი, რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ცენტრი.

7 თებერვალს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 60 წლის იუბილეს.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მიერ მოწყობილი სრულიად საკავშირო გადაძახილის „ძმაო, ძმათა ხარ ძლიერის“ მონაწილენი, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

შეკრებილმა ამხანაგებმა ტაშის გრიალში ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

რედაქციის კოლექტივს, მის ავტორთა აქტივს გულითადად მიულოცეს და მიესალმნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ვ. ბედინეიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის უფროსი მექურე სოციალისტური შრომის გმირი ვ. დ. ნაუმკინი, მწერალი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჭ. ი. ამირეჯიბი, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. მ. ბარიგინი, გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიას“ რედაქტორი გ. თ. ტურონოკი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. უტიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი მ. დ. იაკობაშვილი.

შემდეგ გამოვიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც ილაპარაკა რედაქციის კოლექტივის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, მადლობა მოახსენა გამოსულ ამხანაგებს და, მათი სახით, ყველა მკითხველს რესპუბლიკის ცხოვრების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გასაშუქებლად მუშობაში ხელშეწყობისა და აქტიური მხარდაჭერისათვის.

დასასრულ, საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

## ტექნიკური პროგრესის ენთუზიასტები

სკკპ XXVI ყრილობის კურსის შესაბამისად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მისი ინტენსიფიკაციის საფუძველზე რეზერვების გულმოდგინე ძიებას მოითხოვს. ისინი უნდა ვეძიოთ, აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და ჩვენ ქვეყანაში ამის წინათ გამართულმა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VI საკავშირო ყრილობამ, ამ ნებაყოფლობითი გაერთიანებების წევრთა 11-მილიონიანი არმიის ინგარიშზეა ბევრი მოლწევა. მათი მონაწილეობით გასულ ხუთწლედში ხელის ოპერაციებიდან მექანიზებულ ოპერაციებზე გადაყვანილია 500 ათასზე მეტი კაცი, შემსუბუქებულია კიდევ 800 ათასი კაცის შრომა. იმედი გაამართალა ახალი ტექნიკის გეგმების შესრულების დათვალიერებებმა, მარტო 1981 წელს დათვალიერებათა მონაწილეებმა წამოაყენეს დაახლოებით სამი მილიონი წინადადება, რომლებიც დაკავშირებულია მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების, მანქანებისა და მოწყობილობის შეშუშავება-დანერგვასთან. ათასობით ტექნიკური პროგრესის ენთუზიასტი ებრძვა საკავშირო კონკურსში ელექტრული და სითბური ენერგიის დაზოგვისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საზოგადოებათა წარმატებებს მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებაში მილიონობით სამამული ჩამბის საქმეში, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების წევრთა მეცნიერებისა და წარმოების შეერთებაში, ყრილობისათვის გაგზავნილ მისალმებაში დასახა მომავალი წლებისათვის მათი მუშაობის მასშტაბური პროგრამა. საზოგადოებათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერო-სახალხო ბრძოლაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ხელის სამუშაოთა შემცირების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების ორგანიზაციებმა მთავარი მეცადინეობა უნდა მოახმარონ სსრ კავშირის სახურსათო პროგრამის რეალიზაციას. სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა მიიღეს პასუხსაგები დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების მომჭირნედ გამოყენებასთან, მართვის, დაგეგმვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფასთან.

თავიანთ ღვიძლ საქმედ აღიქვეს ეს განაწესი სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრებმა, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებმა. ისინი აღსავსენი არიან სურვილით გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიურობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანათა გადაჭრაში, გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლი მისი მიღწევების დანერგვისადმი, მიაღწიონ გეგმა-ვალდებულებათა შესრულებაში საინჟინერო და ეკონომიკური სამსახურების როლის ამაღლებას.

ძიების ამ მაგისტრალური მიმართულებებით წარმატებების მიღწევა ბევრად არის დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საუკეთესო ორგანიზაციების ინიციატივების ფართო გავრცელებაზე. მაგალითად, მათ აკისრეს შეფობა ხუთწლედის 62 სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის შესრულებისადმი, თითოეული მათგანისათვის შექმნეს საზოგადოებრივი ხაბჭოები და გაშალეს შეჯიბრება ამ პროგრამების დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის, დაახლოებით 3000 კოლექტივი ჩაება ამ შეჯიბრებაში. ლენინგრადის გაერთიანება „ელექტროძალაში“ მოიწყო გამოშვებული პროდუქციისა და გამოყენებული მოწყობილობის ტექნიკური დონის საზოგადოებრივი დათვალიერება. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის რიცხვი ამის შედეგად 190-დან 286-მდე გაიზარდა. პარტიულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო ფილიალებმა საბჭოებმა, ცენტრალურმა გამგეობებმა, მეცნიერებმა და ინჟინერმა კომუნისტებმა უნდა იზრუნონ, რომ საზოგადოებათა 125 ათასივე პირველადი ორგანიზაცია მოქმედებდეს შემოქმედებითად, გაჯანსაღებთ და შთაგონებთ. „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი საბჭო რეზერვების ძიების შტაბი“ — ამ დევიზით მიმდინარეობს პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრება საქართველოში. გაერთიანება „ურალმაშენაში“ ყოველმა ინჟინერმა იკისრა ვალდებულება ხუთწლედის მანძილზე წარმოების შრომატევადობა შეამციროს იმდენით, რამდენიც საჭირო წელიწადზე გაანგარიშებით ერთი მომუშავის გამოთავისუფლებისათვის. ეს წამოწყება მხარდასაჭერია.

ფართოა ძიების დიაპაზონი, დიდია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ენთუზიასტთა ძალების გამოყენების ასპარეზი, რასაც უნდა ეხებოდეს საქმე, — ენერგოდამზოგავი, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნისა თუ დანერგვას, ბუნების დაცვაში შეტანილ წვლილს, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა თუ სხვა პრობლემათა გადაჭრას, უნდა ვეცადოთ საუკეთესო საბოლოო შედეგებს, ძიებას ვეწეოდეთ ყველაზე მაღალ დონეზე, ვცდილობდეთ, რომ მარკა „დამზადებულია სსრ კავშირში“ განსახიერებდეს მეცნიერულ-ტექნიკური აზრის მოწინავე ფენებს. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციებს შეუძლიათ და გადაჭრით უნდა იბრძოლონ კიდევ ტექნიკური კონსერვატიზმისა და რუტინის წინააღმდეგ, უფრო მტკიცედ ილაშქრებდნენ ისეთი პრაქტიკის წინააღმდეგ, როცა საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტები ემყარება მოძველებულ ტექნიკურ გადაწყვეტებს, ხელის ოპერაციების ფართო გამოყენებას. საზოგადოების დიდი უურადღება უნდა მიეპყროს შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას, განა შეიძლება შეფუჭებულ, მაგალითად, იმის, რომ მარცვლახალები მანქანების გაფუჭების ყოველი ათი შემთხვევიდან ექვსი გამოწვეულია მათი დამზადების ტექნოლოგიის დარღვევით?

ბეჯითად უნდა სრულყოთ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ცენტრალური გამგეობები, მათი საოლქო საბჭოებისა და განსაკუთრებით პირველადი ორგანიზაციების მუშაობის სტილი. ბევრმა მათგანმა იკისრა საწარმოებისა და გაერთიანებების საწარმოო-ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოების მოვალეობა. საჭიროა თავადვე მეცადინეობა მოუახმაროთ დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, მივაღწიოთ მათ მიმართ კომპლექსურ მიდგომას, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა არ უნდა შეიცვალოს რეზოლუციების ზოგადი ლოზუნგების შეთხზვით. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მაღალი მოვალეობაა ინჟინერთა წრეში დაამკვიდრონ ნოვატორობისა და მიზანსწრაფულობის სულისკვეთება, ინიციატივა სამეცნიერო პრობლემათა წამოყენებისა და გადაჭრაში. ამას უნდა შეეხამებოდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების, ეკონომიკური ანალიზისა და ტექნიკური ინფორმაციის ბიუროების მუშაობის სტილიც. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი უჯრედი უნდა გახდეს მოქალაქეობრიობის სკოლა, ყოველივე ახლის შემქმნელი და ქომაგი.

ყველგან რომ ასე იყოს, პარტიულმა კომიტეტებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყურადღების ცენტრში უნდა იქონიონ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობა, ხელი შეუწყონ მათი რიგების ზრდას, უნარიანად წარმართონ აქტივისა და ყველა წევრის ნოვატორული აზრი და ენერგია უპირველესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის გაფართოებისათვის.

ახლის გამტარებელთა და ენთუზიასტთა მრავალმილიონიანი რაზმი ისწრაფვის უფრო აქტიურად და მტკიცედ იბრძოდეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პოზიციებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. დიე ეარდებოდეს მათი წვლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში!

**7 თებერვლის მოწინავე**

## „ПРАВДА“

# მართლწესრიგის დაცვა პარტიული, სახელმწიფო საქმე, საყოველთაო საზრუნავია

## საქართველოს პარტიული აქტივის კრება

ერთი წლის წინათ, რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ, განიხილა რა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის შედეგები და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ამოცანები, დასახა აღნიშნული მიმართულებით შემდგომი მუშაობის პროგრამა.

პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების მთელი მუშაობა დაეკვემდებარა იმ ამოცანას, რომ აქტიურად განხორციელებინათ სკკპ XXVI ყრილობის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დასაცავად მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას სისტემატიურად ეწეოდა კონტროლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ყოველთვიურ თათბირებზე, რომლებზეც სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს განიხილავდნენ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის სხდომაზე იწვევდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს, სადაც ისინი ანგარიშს აბარებდნენ ანგარიშს მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

1982 წლის ივლისში ცენტრალურ კომიტეტში პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით გაიმართა გაფართოებული რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ სახმოლველად პირველ ნახევარწლეულში გაწეული მუშაობის შედეგები და განსაზღვრა მომავალი პერიოდის ამოცანები.

## როგორია წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები?

ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა მოხსენებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა გააკეთა 1983 წლის 5 თებერვალს რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე.

გასულ წელს რესპუბლიკაში გრძელდებოდა დანაშაულობათა დონის შემცირების ტენდენცია, აღინიშნა მომხსენებელმა. გარკვეული პოზიტიური ძვრებია მიღწეული დამნაშავეობის სტრუქტურაში. წინა წელთან შედარებით აღნუსხულ დანაშაულობათა აბსოლუტური რიცხვი გაიზარდა ძირითადად ნაკლებნაშენელოვან დანაშაულობათა ხარჯზე. ამასთანავე იკლო მძიმე დანაშაულობების, მათ შორის, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების რაოდენობამ, როგორიც არის განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება. მიღწეულია მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოპარვის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის რიცხვის შემცირება. არსებითად დაიკლო არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის დონემ, რასაც დიდად განაპირობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ე. ჩერქეზიას მეთაურობით მოქმედი რესპუბლიკური კომისიის ეფექტიანი მუშაობა.

დანაშაულობათა რიცხვის შემცირება შეიმჩნევა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სულ რესპუბლიკის 49 ქალაქსა და რაიონში.

დანაშაულობათა გახსნამ შეადგინა 93,4 პროცენტი (0,4-ით მეტი 1981 წელთან შედარებით). არის სხვა დადებითი შედეგებიც.

მაგრამ ამგ. კოლბინმა გაბრიელი მოთხოვნების შესაბამისად გაამახვილა ყურადღება ძირითადად ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე.

დაუფარავად უნდა ითქვას, აღნიშნა მან, რომ ჯერ კიდევ ყველგან და ყველა უბანზე არ ვახორციელებთ ამომწურავ ღონისძიებებს დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არ იგრძნობა შემტევი სულისკვეთება დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ჯერ კიდევ გავრცელებულია, მნიშვნელოვან ხარალს აყენებს სახელმწიფოს და დიდ საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, აგრეთვე ქონებას.

ოპერატიული ვითარების სერიოზული გართულება, მძიმე დანაშაულობათა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა არის ქალაქებში გორში (საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ზ. მაყაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. ი. ნასყიდაშვილი, ყოფილი პროკურორი ი. გ. ჩადუნელი, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი ვ. დ. რაკიაშვილი), ტყიბულში (გ. კ. ლორთქიფანიძე, გ. ე. ცნობილაძე, ზ. გ. გუბელაძე, ა. ა. მკედლიძე), ადიგენის (დ. მ. ნაკაშიძე, ტ. ს. პეტაშვილი, ა. ა. თათოშვილი, მ. ა. რუხაძე), გუდაუთის (კ. კ. ოზგანი, ს. რ. ტარკილი, შ. ბ. ბარაცია, ლ. ხ. ბაბლია), ბოლნისის (თ. ი. ხაზარაძე, შ. მ. ყულიევი, თ. ლ. აბაშიძე, ს. გ. გამყრელიძე), კასპის (ვ. ვ. ბ. კვალიაშვილი, ვ. ი. ეპიტაშვილი, გ. ა. ბესიაშვილი, შ. ი. გულიაშვილი), ლაგოდეხის (ვ. გ. ბაქრაძე, ა. გ. კაპანაძე, ა. ს. ხახიაური, ვ. ვ. ტურაშვილი), თეთრიწყაროს (დ. დ. ბედუკაძე, მ. ი. დალაქიშვილი, ვ. მ. წოლაური, გ. რ. ბერიანიძე), მცხეთის (ა. ვ. ბარისაშვილი, თ. პ. პეტრიაშვილი, მ. რ. კუხალაშვილი, ა. ხ. ორტოლაშვილი) და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ოპერატიული ვითარება. იანვრის შედეგების მიხედვით, როგორც ჩანს, ზოგიერთი ჩვენი ქალაქისა და რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოები თვითდამშვიდებას მიეცნენ იმის გამო, რომ შარშან დამნაშავეობის დონე რამდენადმე შემცირდა. ზოგან ამხანაგები ჯეროვნად ვერ ერკვევიან ვითარებაში, ხელიდან გაუშვეს დამნაშავეობასთან ბრძოლის პროცესების ხელმძღვანელობა, დაკარგეს შემტევი სულისკვეთება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში. ამის შედეგად, რესპუბლიკაში იანვრის მანძილზე დაშვებულია დამნაშავეობის ზოგადი ზრდა.

ჩვენ განსაკუთრებით ვეფიქრებს დანაშაულობათა გახსნისათვის მუშაობის მდგომარეობა (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამართლის სამმართველოს სამმართველოს უფროსი მ. ა. თარგამაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი მ. ი. ჯიფარიძე).

მხოლოდ ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, ქარელის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ხაშურის, ზესტაფონის, ზუგდიდის, წალენჯიხის, წულეკიძის, ცხაკაიასა და მთელი რიგი სხვა რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა პროფესიული არაკომპეტენტურობითა და უპასუხისმგებლობით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნულ რეგიონებში უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე წინა წლების ვერც ერთი დანაშაული ვერ გახსნეს.

სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა: საბჭოთა ხალხს სამართლიანად შეუძლია მოითხოვოს, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშობა იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი, რომ ყოველი დანაშაული სათანადოდ გამოძიონ და დამნაშავენი საკადრისად დაისაჯონ.

ეს არის მთავარი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეფასდება როგორც ოპერატიული, სამეგბრო, ისე საგამოძიებო ქვეგანყოფების მუშაობა.

როცა ვლაპარაკობთ, დანაშაულობათა გახსნისათვის ადმინისტრაციული ორგანოების სამეგობრობაზე, როგორც ამ დანაშაულობათა პროფილაქტიკის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ფორმაზე, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი სასჯელის აუცდენლობის ისეთ დიდმნიშვნელოვან ასპექტს, როგორიც არის იმ დამნაშავეთა ძებნისათვის მუშაობის ორგანიზაცია, რომლებიც გამოძიებასა და გასამართლებას ემალებიან.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწიეს.

ამასთანავე, აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „მართლწესრიგის დასაცავად მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

რესპუბლიკაში შეიმჩნევა ძებნილთა რიცხვის ზრდის ტენდენცია.

მომალულ დამნაშავეთა ძებნის ერთობ დაბალი მაჩვენებლები აქვთ ამბროლაურის (პროკურორი თ. ვ. მარჯანიშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ს. გ. ჩარკვიანი), აბაშის (კ. რ. სამუშია, გ. გ. ჩიტია), ახმეტის (ა. პ. ჭანიაშვილი, ა. გ. პაპიაშვილი), ხაშურის (ი. ნ. ბიბილაშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ი. ი. ფოფხაძე), ცაგერის (ნ. ბ. ჩხვიმიანი, გ. ვ. ქეშელაშვილი), ხობის (კ. ნ. შონია, ვ. ი. გაფრელია), გეგეჭკორის (ი. ვ. ჩიქოვანი, ა. ტ. კვარაცხელია), ახალციხის (ც. ვ. გოგაძე, ო. დ. გელაშვილი) და მთელი რიგი სხვა რაიონების პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს.

მომალულ დამნაშავეთა ძებნის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევათა მაგალითი მრავალია, და ეს დარღვევები იმის შედეგია, რომ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს ჯეროვნად არ ასრულებენ არც შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები და არც პროკურატურის მუშაკები.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს რეციდივული დანაშაულობების პროფილაქტიკისათვის მუშაობას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული ბევრი ნასამართლევი პირი თვალთახედვის არიდან რჩებათ მიღებიის ორგანოებს, და შემდეგ ისინი კვლავ სრიალიან დანაშაულობებს.

ჩვენ ვთხოვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ოპერატიულ-პროფილაქტიკურ მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტას, მეტი ყურადღება დაუთმოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების საკითხებს, მათს ერთობლივ მუშაობას როგორც ერთმანეთთან, ისე შრომა-გასწორების დაწესებულებებთან და სპეციალურ კომენდატურებთან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე მათ განსაკუთრებული აქტიურობა მიენიჭოთ ამინისტიასთან დაკავშირებით.

არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს მუშობა, რომელსაც შინაგან საქმეთა ორგანოები ეწევიან ნასამართლე პირთა მიმართ, რომელთა შესახებ მოეპოვებათ სათანადო ინფორმაცია. მე ვგულისხმობ ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის რა ეფექტიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ათობით ზედამხედველობადაწესებულმა პირმა გასული წელს სხვადასხვა დანაშაულობანი ჩაიდინა. აქ უნდა ვილაპარაკოთ აღნიშნული და მთელი რიგი სხვა რაიონების მილიციის მუშაკთა ფორმალურ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი, იმაზე, რომ შინაგან საქმეთა განყოფილებების ხელმძღვანელობა ელემენტარულ კონტროლსაც არ უწევს ხელქვეითთა მუშობას.

საჭიროდ მიმაჩნია შევეხო მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოპარვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. ერთი შეხედვით, თუ სტატისტიკური მონაცემებით ვიმსჯელეთ, მათი რიცხვი 1981 წელთან შედარებით შემცირდა და თითქოს არ უნდა გვქონდეს შეშფოთების სერიოზული საფუძველი. მაგრამ, თუ იგივე სტატისტიკას მივმართავთ, ჩვენ დავიანახავთ, რომ 1982 წლის 8 თვის შედეგების მიხედვით ქურდობა შემცირდა, შემდეგ კი დაიწყო მისი ზრდის ყარი ტენდენცია. ამის შედეგად აშკარად დაიკარგა მოპოვებული პოზიციები. ამიტომ საჭიროა ამთავითვე მივიღოთ ყველაზე რადიკალური ღონისძიებები მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

### სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პიროობაა

**დამნაშავეობასთან** ბრძოლის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან უბანს, თქვა შემდეგ ამბ. კოლბინმა, წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ყოფითი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის მიმდინარე მუშაობის სწორი ორგანიზაცია. ეს იმით არის განპირობებული, რომ ისეთ მძიმე დანაშაულობათა დიდი უმრავლესობა, როგორიც არის განზრახ მკვლელობა და სხეულის დაზიანება, ხდება სხვადასხვა მეზობლური და ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზე. უკანასკნელ ხანს ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. ამ მიმართულებით დადებითი მუშაობა გასწია რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამბ. ვ. მ. სირაძე ხელმძღვანელობს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე

(გაგრძელება მე-2 გვ.)

## გაზაფხულის შესახვედრად

**კალენდარზე** თებერვალია, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს კი გაცხარებული მუშობის პერიოდი აქვთ, საფუძველს უურიან მომავალ მოსავალს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ათობით კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ემსახურება ცხინვალის თესლისა და ნერგების ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია.

სადგურის თანამშრომლები — აგრონომები, მეთოდისტები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გასაშუქებლად მუშობაში ხელშეწყობისა და აქტიური მხარდაჭერისათვის.

**სსრკ:** ლაბორანტი თამარ ბაგაევა ამოწმებს ხიმინდის თესლის აღმოცენების ხარისხს.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ამხანაგ გრიგოლ ვასილის ძე რომანოვს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოცი წლისთავს.

გისურვებთ, გრიგოლ ვასილის ძევ, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხანაგ ბ. ბ. რომანოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

**კომუნისტური** პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ გრიგოლ ვასილის ძე **რომანოვს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქ

# მართლწესრიგის დაცვა პარტიული, სახელმწიფო საქმე, საყოველთაო საზრუნავია

(გაგრძელება)

კონკრეტული ამოცანები დაისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის სხდომებზე.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელი წლების მანძილზე დაისახა ყოფითი დანაშაულის დონის კლების ტენდენცია. მაგრამ მათი რიცხვი ჯერ კიდევ დიდია.

ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ყოფითი უსიამოვნების ნიადაგზე წარმოშობილ დანაშაულობებთან ბრძოლის მდგომარეობა ლაგოდეხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ზესტაფონის, მესტიის, გორის, დუშეთის, სიღნაღისა და ახმეტის რაიონებში, ქ. თბილისის ლენინის, პირველი მაისის, კალინინის, 26 კომისრის რაიონებში, ქალაქებში ფოთსა და ტყიბულში.

გასულ წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი სამუშაო ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობდნენ მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებს. სამუშაო ჯგუფის, ცენტრალური კომიტეტის სამდგომ ო ს სხდომებზე იწვევდნენ იმ რაიონების ხელმძღვანელებს, სადაც მუქთახორების წინააღმდეგ ბრძოლაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იქმნებოდა. დამკვიდრდა მუქთახორა ელემენტების გამოვლენის, შრომითი მოწყობისა და კონტროლის სისტემა.

მარტ-ივნისის მანძილზე მთელ რესპუბლიკაში განხორციელდა იმ პირთა გამოვლენის სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. ამ ღონისძიებებმა საერთოდ კარგი ნაყოფი გამოიღო.

გარკვეული დადებითი ძვრებია მიღწეული მუქთახორების გამოვლენის, შრომითი მოწყობის საქმეში, მათი დასჯითი პრაქტიკის გამკაცრებაში. ამასთანავე მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არ აღმოფხვრილა ფორმალიზმის ელემენტები მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნელა ინერგება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის თავის ამრიდებელ პირთა გამოვლენის, შრომითი მოწყობისა და წარმოებაში დამკვიდრების ერთიანი სისტემა. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ქალაქ ზუგდიდს (რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარე დ. შ. შენგელი, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი გ. ლ. ხუხია), ზუგდიდის ი. ი. კუტალია, გ. ი. ბულია), ლაგოდეხის (ა. გ. კაპანაძე, ვ. გ. ტურაშვილი), მახარაძის (მ. ვ. ყელენტი, დ. ს. შარაძე), ლანჩხუთის (დ. შ. ცინცაძე, გ. პ. ჩხაიძე), ბოლნისის (შ. მ. ყულიევი, ს. გ. გამყრელიძე), გეგეჭკორის (კ. თ. ასათიანი, ა. ტ. კვარაცხელია), ზესტაფონის (ლ. ვ. გველესიანი, დ. კ. ხომასურიძე) რაიონებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოლიანად რესპუბლიკაში რამდენადმე იკლო არამომუშავეთა ხვედრითმა წილმა დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის, ეს მაჩვენებელი დაუშვებლად დიდია იფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში თბილისსა და წყალტუბოში, ცაგერის, ლანჩხუთის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც მოვიწვიოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, სამუშაო ჯგუფის სხდომებზე იმ რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელები, სადაც არასახარბიელო ვითარება იქმნება არამომუშავეთა შორის დანაშაულობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამჟ. კოლბინმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. რესპუბლიკაში ერთობ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა დიდი ავარიულობის გამო. მარტო გასულ წელს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობამ რესპუბლიკაში 3 ათასს გადაამტა, მათ შეიწირეს 894 ადამიანის სიცოცხლე, დაახლოებით 4 ათასი კაცი მძიმედ არის ტრავმირებული. ამ ციფრებს მიემა მრავალი ათასი ოჯახის ტრაგედია იმალება. ასეთი მდგომარეობა საგანგებოდ უნდა მივიჩნიოთ და მის გამოსაწორებლად ასევე საგანგებო ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საკითხი ბიუროს სხდომაზე განიხილა. მიზანშეწონილად ჩაითვალა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, ამასთან განსაზღვრონ ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევებს, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, აღმინისტრაციული ორგანოები ჯეროვან აქტიურობას იჩენდნენ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველყოფისათვის, როგორც ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, ისე მძღოლთა შორის დისციპლინის განმტკიცების საკითხებში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად მიმდინარე მუშაობაში.

ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს ვთხოვთ ყველაზე სერიოზული დაყენებული გამოტანონ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკის მონაცემებიდან. რესპუბლიკაში ავტოავარიების მესამედზე მეტს ანდენენენ ავტომოჯირითებები, რომლებიც აჭარბებენ სიჩქარეს. ჩვენს რესპუბლიკას ქვეყანაში ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვს ნასვამ მძღოლთა მიერ ჩადენილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდის დონის მიხედვით.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სამუშაო დროს რესტორნებთან ვხედავთ ბევრ ავტომობილს, როგორც პირადი სარგებლობის, ისე სახელმწიფო ავტომანქანებს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პრესის, სახალხო კონტროლის მუშაკების, ტელევიზიის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამოვვალინოთ და მკაცრად მოვკითხოთ პასუხი იმათ, ვინც უხეშად არღვევს შრომის დისციპლინას.

სახელმწიფო წესრიგი უნდა დავამყაროთ საავტომობილო ინსპექციის მუშაობაშიც. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობისაგან (გ. გ. ზალამბერიძე) გადაჭრით მოიშორონ თავიდან არაკეთილსინდისიერი მუშაკები, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობასთან (დ. ნ. ალანია) ერთად დაიწესონ მკაცრი კონტროლი საგზაო-საპატრულო სამსახურის საქმიანობას.

ამჟამად მუშავდება წინადადება საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული და სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამკაცრების მიზნით.

მაგრამ ვერავითარი სანქციები ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგებს, თუ მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ ლიბერალიზმსა და პასიურობას გამოვიჩენთ. მაგალითად, გასულ წელს ჩვენმა სასამართლო ორგანოებმა სიმთვრალისას ავტომობილის გამომორეობით მართვისათვის კანონით გათვალისწინებული ავტომობილის კონფისკაცია გამოიყენეს მხოლოდ 40 შემთხვევაში 300-დან. თანაც, ჩამორთმეულ ავტო.მანქანებს მეტწილად, როგორც წესი, მიჰყიდიან ბრალეულს ოჯახს წვრილს, ან მის ახლო ნათესავებს, და ფაქტობრივად მანქანის მფლობელად კვლავ ბრალეული რჩება. ასეთი ლიბერალიზმისათვის ჩვენ მკაცრ პარტიულ პასუხს მოვთხოვთ ყველას.

ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როცა მთელ ქვეყანაში წარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დღეს მინდა რამდენადმე სხვაგვარი ასპექტით შევეხო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისა და მოპარვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, აღნიშნა მომხსენებელმა. 1982 წელს წინა წელთან შედარებით მოპარვის რიცხვმა იკლო, მაგრამ ავტოტრანსპორტის გატაცების რაოდენობა გაიზარდა. დიდი უმრავლესობა, ბუნებრივია, ქალაქ თბილისზე მოდის. ამ დანაშაულობათა რიცხვის უმეტესი ზრდა არის დაშვებული პირველი მაისის, საქარხნო და კალინინის რაიონებში.

ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში სისხლის სამართლის სამძებროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახელმწიფო ავტოინსპექციის, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების თანამოქმედების ზუსტად მოგვარებულ სისტემას. არ იგრძნობა კომპლექსური მიდგომა ამ პრობლემის გადაჭრისადმი.

ამასთანავე რეალური არ იქნება მარტოოდენ შინაგან საქმეთა ორგანოებს მოვთხოვოთ განაზორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი ავტომანქანების გატაცების ფაქტების მაქსიმალური თავიდან აცილების მიზნით. რა თქმა უნდა, თავის მხრივ, ისინი მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, მაგრამ არის მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა არ შედის მილიციის ორგანოების კომპეტენციაში.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ნ. ნ. ნეფედოვი) და ავტომოყვარულთა საზოგადოებას (ი. დ. შაიშმელაშვილი) დაევალათ გადაეწყვიტათ ქ. თბილისში ავტოსადგომების ქსელის გაფართოების საკითხი. მაგრამ დღემდე ეს პრობლემა ვერ მოგვარებულა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ქ. თბილისში არსებულ სადგომებს შეუძლიათ დაიტიონ ავტომანქანების საერთო რაოდენობის მხოლოდ 11 პროცენტზე ცოტა მეტი, ხოლო მთლიანად რესპუბლიკის ავტოსადგომებს — უფრო ნაკლებიც — 8,3 პროცენტი.

მიმდინარე წელს დაგეგმილია თბილისში აშენდეს შვიდი სადოეოამისო სადგომი 1750 ავტომანქანისათვის, რაც არსებითად ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საქმის მდგომარეობაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობამ უნდა გამოძებნოს შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს ავტომანქანები სადგომებით, გამოიყენოს ისეთი ტერრეკები, როგორიც არის დროებითი სადგომების მოწყობა, ქალაქში კი ამის შესაძლებლობანი გვაქვს.

ავტომანქანების გატაცებისა და მოპარვის პროფილაქტიკის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს გატაცებასაწინააღმდეგო საშუალებები, მაგრამ მათი წარმოების საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა და ამ საშუალებებს უმნიშვნელო რაოდენობით ხელით ამზადებენ ავტომატმოყვარულთა საზოგადოების სახელოსნოებში, მაშინ როცა მათი წარმოება სამრეწველო საფუძველზე უნდა მოეწყოს. ეტყობა, ამ საკითხს, სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ამხ. ვ. ვადაეკორიამაც და არსებითი დახმარება გაგიწიოს ამ პრობლემის გადაჭრაში.

ჩვენს ყველაზე სერიოზულ შეშფოთებას კვლავ იწვევს საგამძიებო მუშაობის მდგომარეობა ორგორც პროკურატურის ორგანოებში (საგამძიებო სამმართველოს უფროსი ზ. მ. კვირკელია), ისე შინაგან საქმეთა სამინისტროში (მ. ი. ჯაფარიძე). სამწუხაროდ, დღეს იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ საგამძიებო მუშაობის გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქმეთა ფნიშვნელოვან რაოდენობას უწინდებურად იძიებენ კანონით დადგენილი გამძიების ვადის დარღვევით, სრულიად არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს ადგილებზე გამოსაძიებელ საქმეთა ხარისხი, არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტები.

ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ამაშის, ვანის, გორის, გურჯაანის, ქარელის, ლანჩხუთის, ლენტეხის, თერჯოლის, წულუკიძის, ცხაკაიას, წოდილწყაროსა და მთელი რიგი სხვა რაიონების პროკურატურებში მიმდინარე საგამძიებო მუშაობის დონე. ამ მხრივ უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გორის რაიონის პროკურატურასა (პროკურორი ე. გ. ბადრიძე) და თეთრი წყაროს რაიონის პროკურატურაში (ვ. მ. წიკლაური), სადაც დამატებითი გამძიებისათვის აბრუნებენ ყოველ მესამე საქმეს.

მნიშვნელოვნად აჭარბებს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს დამატებითი გამძიებისათვის დაბრუნებული საქმეების რაოდენობა ბორჯომის, ბოგდანოვკის, დმანისის, ორჯონიკიძის (სასოფლო) საჩხერის, ხობის, ცხაკაიას შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში. ამასთანავე დმანისის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ყოველი მეორე საქმე დასრულებულია გამომძიების ვადის დარღვევით. 1982 წელს რესპუბლიკის გამომძიებლებს დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა ასობით საქმე. პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეთა მიხედვით ეს მაჩვენებელი გაცილებით უარესია. ამ მაჩვენებლების მიღმა იმალება ასობით სისხლის სამართლის საქმე, გამომძიებელთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ცუდი შესრულების ასობით ფაქტი, რაც მოწმობს მათს დაბალ პროფესიულ დონეს, საპროკურორო ზედამხედველობის სისუსტეს, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს, სასამართლო პერსპექტივის დაკარგვას.

დაბალია საგამძიებო აპარატების როლი დანაშაულობათა გახსნაში. ბევრი გამომძიებელი დანაშავის დაუდგენლობის გამო სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ არ იღებს არავითარ მონაწილეობას ოპერატიულ-საგამძიებო ღონისძიებათა ორგანიზაციაში. ფოლი მათი მუშაობა ის არის, რომ ოპერატიულ მუშაკებთან ერთად ადგენენ ამ ღონისძიებათა გეგმებს.

ყოველად შეუწყნარებელია ფაქტები, როცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ პირებს საამისო საფუძვლის უქონლად. ეს არის სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევა, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებათა შელახვა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დარჩეს შესაბამისი რეაგირების გარეშე.

იმედი გვაქვს, რომ სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ენერგია და გამცდილებას, რათა ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე.

უკანასკნელ ხანს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის აპარატებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის გასაძლიერებლად, დამტაცებელთა გამოსავლენად და გამოსაშკარავებლად.

თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაააქტიურებამ, ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებამ შესაძლებლობა ნოგვცა რამდენადმე გაგვეჯანსაღებინა ოპერატიული მუშაობა.

ამასთან რამდენადმე შემცირდა აქტიურობა ყაღდველთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების ფაქტების გამოსავლენად. დიდი მუშაობაა გაწეული სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის მაქსიმალური ანაზღაურებისათვის. ამ მუშაობის მაჩვენებლები თითქმის გაორკეცდა.

ანალიზი მოწმობს, რომ სახელმწიფო საკუთრების დატაცებას უწინარეს ყოვლისა ხელს უწყობს მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობის, სარევიზიო და საანგარიშო-საბუღალტრო აპარატების გაურკვევლობა, ხოლო რიგ შემთხვევებში — უპირნეციპო, შემწყნარებლური ბოზიცია. საქმოსანთა მიერ აღურიცხავი პროდუქციის დატაცების მეტი ნაწილი ხომ ნედლეულის, მასალის, სათბობ-ენერგეტიკული მასალების ეკონომიის ხარჯზე იქმნება. დანაშავენი ანგარებითი მიზნებისათვის იყენებენ ჩარხებს, მოწყობილობას, ინსტრუმენტებს, სატრანსპორტო საშუალებებს. ყოველივე ეს ერთად აღებული კი შეადგენს უდიდეს რესურსს, რომლებიც ოფიციალურად არსად არ არის აღნუსხული, და ხელიდან ეცლება სახელმწიფოს.

იქ, სადაც არ წარმოებს შემტევი, სისტემური ბრძოლა დატაცებათა წინააღმდეგ, ლაღად გრძნობენ თავს ნაირნაირი საქმოსნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება, დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროკურატურის ორგანოებს.

პროკურატურის ორგანოების ამოცანაა ყველაფერი იღონონ ასეთი ფაქტების დროული გამოვლენისა და რეაგირების, საერთო ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მუშაობის სტილის გაუმჯობესებისათვის. მთავარი ყურადღება უნდა მივაპყროთ სწორედ აქტუალური საკითხების გადაწყვეტას, დავძლიოთ გატაცება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რასაც შედეგად მოსდევს ძალების დაქსაქსვა და გარდაუვალად ისვამს დაღს მუშაობის ხარისხსა და შედეგიანობას. მთელი პრინციპულობით უნდა დავაყენოთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე იმ სამეურნეო ხელმძღვანელთა, საკონტროლო სარევიზიო აპარატების, სამართლებრივი სამსახურების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც თავს არიდებენ თავიანთი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

იუსტიციის სამინისტრომ, სახელმწიფო არბიტრაჟმა უნდა გააქტიურონ მუშაობა, რომლის მიზანია განმტკიცდეს სახელმწიფო და სამეურნეო დისციპლინა სახალხო მეურნეობაში. საჭიროა გაძლიერდეს სამართლებრივი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამასთანავე უფრო თამამად უნდა გამოვიყენოთ მომეტებული სანქციები, ყველა სამართლებრივი საშუალებით ვიღვაწოთ უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტების აღმოფხვრისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროული შესრულებისათვის.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრება სასამართლოებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. სასამართლოების მუშაობას უნდა ჰქონდეს ყოველმხრივი, ობიექტური ხასიათი, განუხრელად უნდა იყოს დაცული კანონის მოთხოვნები, დიდია მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

მაგრამ დადებითთან ერთად სასამართლოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

მაგალითად, გასულ წელს სახალხო სასამართლოებმა ვადების დარღვევით განიხილეს ასობით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმე.

გაუქმდა ან შეიცვალა განაჩენი 480 კაცის მიმართ, რომელთაგან პროკურორთა საკასაციო პროტესტების საფუძველზე გაუქმებულია მხოლოდ 27,5 პროცენტი.

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, გარკვეულწილად იმის შედეგიც არის, რომ შემცირდა მომთხოვნელობა საქალაქო და რაიონული პროკურორებისადმი, რომლებიც ყოველთვის არ სწავლობენ და დროულად არ აპროტესტებენ უკანონო განაჩენებს.

ანალოგიური მდგომარეობაა სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის მხრივაც, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ უამრავი საჩივარი და განცხადება იგზავნება ზემდგომ ინსტანციებში, მათ შორის, ცენტრალურ კომიტეტში.

## სამართალდაცვითი ორგანოების რიგების სიწმინდისათვის

**დასასრულ** ამხ. კოლბინი შეეხო სამართალდაცვითს ორგანოებში სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის საკითხებს და აღნიშნა:

როცა სამართალდაცვითი ორგანოების რიგების სიწმინდისათვის ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე ლაპარაკობს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საგანგებოდ უსვამს ხაზს ხელმძღვანელთა როლს ამ მუშაობის ორგანიზაციაში, ჯეროვანი წესრიგის დამყარებაში იმ უბნებზე, რომლებისთვისაც ისინი აგებენ პასუხს. ხელმძღვანელებთან ერთად ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ აღმინისტრაციული ორგანიზების პირველადი პარტიული ორგანიზაციები. შარშან გარკვეული დადებითი მუშაობა იქნა გაწეული სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნულ პერიოდში პროკურატურის ორგანოებიდან სხვადასხვა მოტივით დაითხოვეს ათობით ადამიანი. მექრთამეობისათვის მხილებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული მთელი რიგი პირნი, რომლებმაც შინაგან საქმეთა ორგანოებში მოიკალათეს. ბევრი საბალხო მოსამართლე აღარ აურჩევიათ კონსტიტუციური ვადით.

მაგრამ თვითდამშვიდების ნაბიჯი მაინც არა გვაქვს. ვინაიდან კანონიერების დარღვევის ყოველი ფაქტი, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვა აღმზრდელობითი მუშაობის სერიოზულ ხარვეზებს მოწმობს და მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. მარტო შინაგან საქმეთა ორგანოებში, 1981 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, აღნუსხულია სოციალისტური კანონიერების დარღვევის ბევრი შემთხვევა. საკმარისად არის ასეთი დარღვევები პროკურატურის ორგანოებშიც, სასამართლოებშიც. პროკურატურის ცალკეული მუშაკები, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის გამო მოწოდებული არიან შემტევი ბრძოლა აწარმოონ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, თავად ადგებიან დარღვევებისა და ბოროტმოქმედების გზას.

შარშან თანამდებობიდან გაათავისუფლეს მცხეთის რაიონის პროკურორის მოადგილე ხარშილაძე, რომელმაც ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და პროტექციით უკანონოდ გადაადგილდა ერთ ოჯახი ქალაქ ალმა-ატიდან ალმა-ათელ ოჯახ ალმა-ათელ ოჯახ ალმა-ათელ ოჯახ

# მართლწესრიგის დაცვა პარტიული, სახელმწიფო საქმე, საყოველთაო საზრუნავია

**რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების მუშაობის შედეგები შეაჯამა სკკა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.**

# დისციპლინისა და წესრიგისათვის ბრძოლა უფრო კონკრეტული, თანამიმდევრული, შემტევი უნდა იყოს

დღევანდელ კრებაზე, — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ — განვიხილეთ მეტად საჭირბოროტო, აქტუალური საკითხი — მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის შედეგები და ამ დარგის ამოცანები სკკა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად. უნდა მივესალმოთ ჩვენში დამკვიდრებულ ტრადიციას, როცა წლის დამდეგს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთად ისეთ გულახდილ, პრინციპულ პარტიულ ვითარებაში ვიხილავთ მუშაობის შედეგებს, ობიექტურად ვიფასებთ საქმის ვითარებას და განვსაზღვრავთ ამოცანებს.

ჩვენი კრება, მოხსენება და გამოსვლები, არსებითად იმ სჯაბაასის განგრძობაა, რომელიც შარშან გვქონდა.

ჩვენ გვაქვს ერთგვარი წარმატებანი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამხანაგებმა ეს იციან. შედეგები მოლიანად ცუდი როდია, ტენდენციები ჯანსაღი, დამაიმედებელია. რამდენიმე წელია ვქმნით რაიონულ რგოლში, სამინისტროებში, შრომითს კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის პარტიული ხელმძღვანელობის, პარტიული გავლენის გარკვეულ სისტემას. იყო შეცდომები, იყო ნაკლოვანებანი, მაგრამ მთლიანად ახლა, ვფიქრობ, შეიქმნა მართლწესრიგისა და დისციპლინის პროცესებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკმაოდ მწყობრი, მე ვიტყოდი, ოპტიმალური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მიზნადასახულად განვსაზღვრით კონკრეტული ორგანიზაციული. სამართლებრივი და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი. სწორედ ასეთი სისტემა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ყველა ეს პრობლემა, მტკივნეული საკითხი მუდამ იყოს პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში, გავლენას ახდენდეს საქმის ვითარებაზე. სწორედ ასეთი სისტემა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან წარმატებებს დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, ვითარების სტაბილიზაციას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და საერთოდ შემდგომში რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებას.

შეიძლება კმაყოფილებით ითქვას, რომ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ამხ. გ. ვ. კოლბინი მეთაურობს, და რომელიც გახდა ამ სისტემის მთავარი წამყვანი რგოლი, მთლიანად ამართლებს თავის დანიშნულებას. ეს არის ნამდვილად სამუშაო ჯგუფი, იგი დიდ და მრავალფეროვან მუშაობას ეწევა: წარმართავს და კოორდინაციას უწევს ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებასთან, პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან არსებულ დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კომისიებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობას.

შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობის კარგი სტილი ყალიბდება პირველადს რგოლშიც. ამას ადასტურებს თბილისის საავიაციო ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენებლის“, მთელი რიგი სხვა შრომითი კოლექტივების გამოცდილება. მაგრამ დამკვიდრებული ტრადიციულად შემოწმებული სამართალდარღვევების პროფილაქტიკის სისტემა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან ვერ გავრცელდა, ჯერ კიდევ ყველგან ვერ მოიკიდა ფეხი. იგი სათანადოდ არ არის დამუშავებული ძირეულ რგოლებში, ესე იგი სწორედ იქ, სადაც უნდა მოქმედებდეს უმეტესი უკუგებითა და უმეტესი ეფექტით.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში, ბევრ სამინისტროსა და უწყებაში სამუშაო ჯგუფების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობას ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. არ არის სათანადო სიზუსტე და შეთანხმება თვით მუშაობის ორგანიზაციაში. შეიმჩნევა გარკვეული პარალელიზმი. პარტიის მთელ რიგ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში მოქმედებენ როგორც ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, ისე მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების სამუშაო ჯგუფები, ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში მოქმედებს მარტო კომისიები, ზოგან სამუშაო ჯგუფებს მისცეს უპირატესობა. უნდა აღმოფხვრათ განსხვავება არა მარტო სახელწოდებასა და სტრუქტურაში, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ქვეგანაყოფების მუშაობის ფუნქციებსა და მეთოდებში.

როგორც ჩანს, სწორი იქნება, თუ ყველა პრობლემას, რომლებიც დისციპლინის განმტკიცებას, ნეგატიური მოვლენების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხება, თავს მოვუყრით ერთ რგოლში. და სულერთია, რა სახელს დავარქმევთ მას — სამუშაო ჯგუფს თუ კომისიას.

ჩვენ თელავის რაიონის მაგალითით ვამუშავებთ ამ პროცესების მართვის საინტერესო სისტემას. ამ რაიონის არჩევა შეიძლება პარადოქსულადაც მოგვეჩვენოს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს უკანასკნელ სხდომაზე თელავის რაიონის ხელმძღვანელება მკაცრად გაკიკიტიკეთ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაწნაღების დროს დატაცებათა და წამატებათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ მოთხოვნებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების პირობების შექმნისათვის საბალოს დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მოხსნილია თანამდებობიდან და გარიცხულია სკკა რიგებიდან. ასევე დაისაჯა რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეც, რომელსაც ბრალი მიუძღვის იმაში, რომ აშკარად ხელს უწყობდა ბოროტმოქმედებს. სასტიკი საყვედური გამოეცხადა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ამხანაგ ა. ვ. კობაიძეს. და მიუხედავად ამისა, ჩვენ პრობაგანდას ვუწევთ სისტემას, რომელიც ახლა რაიონში მკვიდრდება.

ეს რაიონი იმიტომ ავირჩიეთ, რომ მან მწარე გაკვეთილი მოგვცა. ჩვენი აზრით, რაიონული პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანია, მას ხელეწიფება წარმატებით განახორციელოს ექსპერიმენტი, რომლის არსია შეიქმნას ყველა სამეურნეო, სამართალდაცვითი, საკონტროლო ორგანოს ურთიერთმოქმედების მწყობრი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დროულად აღვაკვეთოთ ყოველგვარი დარღვევა და ბოროტმოქმედება; ნამდვილად ეფექტიანი და ოპერატიული გავხადოთ პროფილაქტიკური მუშაობა.

ამ მუშაობის არცთუ ურიგო გამოცდილება შეიძინეს პარტიის სხვა რაიონულმა კომიტეტებმაც. ამოცანა ის არის, რომ სრულვყოთ მისი სტილი, კომისიების, სამუშაო ჯგუფების მუშაობის სტილი, მოვაგვაროთ სისტემა, რომელიც რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის მასშტაბით იქმნება.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამ მიმართულებით სამმართველო აპარატის საქმიანობას და, კერძოდ, აღნიშნა, თუ რა დადებითს მუშაობას ეწევიან მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების სამინისტროები. ამავე დროს მან თქვა, რომ ბევრ სამინისტროში მაინცდამაინც არ სურთ განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია, ჰქონდეთ დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის უსტად დამუშავებული სისტემა. აქ სერიოზულად უნდა იმუშაონ თვით სამინისტროებმა, და განსაკუთრებით მათმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც ამას მოითხოვს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესანგრ სკკა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. მათთვის ნომერ პირველი ამოცანა უნდა გახდეს დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცება, თითოეული ხელმძღვანელი მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლება. და სწორედ ასეთი პოზიციებიდან უნდა ვიფასებდეთ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, თითოეული პარტიული კომიტეტის საქმიანობას.

ბრძოლა დისციპლინისათვის ხანგრძლივი ამოცანაა, — აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე. და ცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ. დისციპლინა რთული, ძალიან რთული კატეგორიაა. ამიტომ მისდამი მიდგომა უნდა იყოს სერიოზული, შემოქმედებითი. აქ შეუძლებელია კამპანიურობა.

ილაპარაკა რა დისციპლინის განმტკიცების პრობლემებზე, ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ყურადღება დაუთმო ისეთი პირობების შექმნის მნიშვნელობას, რომლიც უზრუნველყოფს თითოეულ სამუშაო ადგილას ხარისხოვან, ნაყოფიერ შრომას, რომლებიც გამორიცხავს უპატიოსნო შემოსავალს, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს.

მტკიცე, შეგნებული დისციპლინის ატმოსფერო უნდა სუფევდეს ყველგან. დისციპლინა თვითმიზანი კი არ არის, არამედ დროის, ცხოვრების უცილობელი მოთხოვნაა. იგი იწყება რეგლამენტით, როელიც რაზმავს ადამიანებს, ამაღლებს მათს პერსონალურ პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელ რგოლთან შეთანხმებული სწორედ ასეთი რეგლამენტი ზუსტად უნდა დამუშავდეს თითოეულ ორგანიზაციაში.

შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძე შეეხო სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის დარგში საქმის ვითარებისათვის, მათი გახსნისათვის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა პასუხისმგებლობის პრობლემას. ჯეროვნად შეაფასა რა მიღწეული წარმატებანი, მან თქვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ბევრს იღვწიან რესპუბლიკაში მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად, რომ ამ ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრული ნდობა აქვთ მოხვეული, მარჯვედ წარმართავენ მუშაობას. ამასთანავე, აღნიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზებია პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების საქმიანობაში, და რომ საჭიროა მისი ძირფესვიანი გარდაქმნა.

ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების, მათი უნარიანი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრობლემის გადაწყვეტას. და ამ მუშაობაში, თქვა მან, არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები. მაგალითად, პარტიის რაიკომების მდგომენი ბჭობენ ხშირად თავიანთ საქმიანობას იმით იწყებენ, რომ თითქმის მთლიანად აახლებენ ადმინისტრაციული ორგანოების მთელ პირად შემადგენლობას. მაგრამ განა ეს ყოველთვის გამართლებულია? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავიდანვე დაუშვებელია სერიოზული გადახრები ამ ორგანოების მუშაობაში, საჭიროა მათთან მუდმივი კონტაქტი, მათი მუშაკების აღზრდა, ამ მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლება, იმის მიღწევა, რომ ისინი ამაყობდნენ თავიანთი მუშაობით, თავიანთი პროფესიით. სწორედ ეს არის სწორი პარტიული მიდგომა.

არსებობს საქმის ვითარებაზე გავლენის მიხდენის ბევრი ბერკეტი, არხი. მაგრამ როგორ ვიყენებთ მათ? ავიღოთ, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი კადრების სამმართველო. ეს ხომ უბრალო კანცელარია კი არა, სერიოზული ქვეგანაყოფია, სადაც მუშაობენ გამოცდილი, მცოდნე ადამიანები, რომელთა მოვალეობაა კადრების აღზრდა, სწორედ აღზრდა, ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბება და არა მხოლოდ მათი პირადი საქმეების შედგენა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში შექმნილია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშობის საკმაოდ განშტოებული სისტემა. მაგრამ ჯეროვანი უკუგება მისგან ჯერჯერობით არ მიგვიღია. ჩვენ კი უწინარეს ყოვლისა გვჭირდება პოლიტიკურ მუშაკთა საქმიანობის საბოლოო შედეგები. და აქ მთელი სიმწვავით ისმება კითხვა, როგორ იბრძვიან ისინი მექრთამეობის, გამოძალვის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ამ ორგანოებში. როგორ ავლენენ, როგორ ამჩნევენ ცალკეული ამხანაგების ნაკლოვანებებს, შეცდომებს, როგორ ზრდიან მათ. ამ მუშაობაში სერიოზული ხარვეზები იმის შედეგია, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა, მისი შტაბის ქვეგანაყოფები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მათ.

საკონტროლო აპარატი არსებობს პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებშიც, უმაღლეს სასამართლოშიც. ამოცანა ის არის, რომ დროულად შევნიშნოთ ნაკლოვანებანი, არ დავუშვათ ჩვენი პრინციპებისაგან გადახვევა, არ მივიყვანოთ საქმე უკიდურესობამდე, როცა გამოსავალი მხოლოდ ის არის რომ მოვახსნათ ადამიანები სამუშაოდან, გავრიცხოთ პარტიიდან, მივცეთ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ასეთი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ უფრო მიზანმიმართულად და უფრო კონკრეტულად.

პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, სასამართლო ორგანოების პირად შემადგენლობასთან მუშაობის გაუჯობესების საქმეში განსაკუთრებით გაეცა ხაზი პარტიული კომიტეტებს როლს. კერძოდ, აღინიშნა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანს მუდამ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან. ბიუროს ნომენკლატურა უნდა გახდეს თითოეული მილიციელის — იმ ადამიანის თანამდებობა, რომელიც მოქმედებს კანონის სახელით, სახელმწიფოს სახელით. იგი კულტურული, წიგნიერი, პატიოსანი და წესიერი კაცი უნდა იყოს. თითოეული მთგანის აღზრდა ისეთივე მნიშვნელოვანი ამოცანაა, როგორც ყველა სხვა უმწვავესი ამოცანა, რომლებიც პარტიული კომიტეტების წინაშე დგას. რაიკომების პირველი მდივნები მოგალენი არიან შუდამ დადიოდნენ შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში, აინტერესებდეთ მათი მუშაობა, ის, თუ რა სიძნელეებს აწყდებიან ისინი, იჩენდნენ ნამდვილად პარტიულ ზრუნვას და ამასთან მუდამ დიდი მომთხოვნელობით, მკაცრი და სამართლიანი მომთხოვნელობით ეკიდებოდნენ მათ. სწორედ ასეთ შემთხვევაში, საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომის დროს შევძლებთ წესრიგი დავამყაროთ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამას, რომ შეგვწევდეს უნარი განვაგებდეთ ვითარებას, ვმართავდეთ მას. დადებით გამოცდილებად ამხ. ე. ა. შევარდნაძემ დასახელა სახალხო მეურნეობის ოპერატიული მართვისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშობის მაგალითი. გასული წლის დამლევს, როცა სახელმწიფო დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი ყოველდღიური კონტროლი დაუწესა გეგმების შესრულებას თითოეული რეგიონის, თითოეული საწარმოს მიხედვით, რამაც შესაძლებელი გახადა შესაბამისი გადაწყვეტილებანი მიგვეღო კონკრეტულ საკითხებზე.

ამას, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე, რომლებმაც ოპერატიული ვითარების გარკვეული გართულება დაუშვეს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის დამდეგს და ვერ შეძლეს დროულად შეეგვიშლიან ცხოვრებასა და მუშაობაში, და მეტად საჭიროა დატაცების, მექრთამეობის, სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა შევუწყობამოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლას, მივაღწიოთ, რომ ყოველი პატიოსანი კაცი დარწმუნებული იყოს — უკანონოდ, უსამართლოდ ვერავინ ვერ დაჩაგრავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამართალდარღვევების წინაღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემა. აქ შეძენილია გარკვეული დადებითი გამოცდილება. კერძოდ, კარგად აშუქებენ ამ საკითხებს პრესა და ტელევიზია, რომლებიც ცდილობენ გამონახონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ახალი გზები, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, მთ ჯერ კიდევ აკლიათ სისტემურობა და, რაც მთავარია, — მუშაობის სისტემატურობა. ყველას დაახსომდა ტელეგადაცემები საგარეჯოდან, ქუთაისიდან, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნიდან, მაგრამ ყოველ ფაქტზე ხომ ვერ მოვაწყობთ გადაცემებს რესპუბლიკური მასშტაბით?! ხომ გვაქვს საქალაქო და რაიონული პრესა, ადგილობრივი რადიომაუწყებლობა, რომლებმაც უნდა გააქტიურონ თავიანთი მუშაობა, შექმნან ჯეროვანი საზოგადოებრივი აზრი სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების, ჩვენი ცხოვრების ნორმების დარღვევის უყოველი შემთხვევის გამო. ხალხის რისხვა უდიდესი ძალაა და მისი ამოქმედება ბევრად არის დამოკიდებული იუსტიციის სამინისტროზე, მის ქვეგანაყოფებზე, რომლებიც სამართლებრივ პროპაგანდას განაგებენ. მეტად მნიშვნელოვანია, როცა ადამიანებმა იციან და სჯერათ, რომ მიმდინარეობს პრინციპული, უკომპრომისო ბრძოლა, რომ ჩვენი კანონების ყოველი დამრღვევი დამსახურებულად დაისჯება. მეტად საჭიროა, რომ სწორედ ამ საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ აქტიური საზოგადოებრივი აზრი.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ შეფასება მისცა ყოველ გამოსვლას პარტიული აქტივის კრებაზე და ხაზი გაუსვა, რომ ამხანაგები, რომლებსაც მოჰყავდათ კონკრეტული ფაქტები, ასახელებდნენ კონკრეტულ გვარებს, მთელი პრინციპულობით აყენებდნენ მინდობილი სამუშაო უბნისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს. აქ მეტად საჭიროა უზრუნველვყოთ კონკრეტული ბრძოლა კონკრეტული ადამიანისათვის, კონკრეტული საქმისათვის ყოველ შრომითს კოლექტივში, ყოველ პარტიულ კომიტეტში.

დღევანდელ კრებაზე, — თქვა დასასრულ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — გამოსვლები შინაარსიანი, საინტერესო იყო. მაგრამ მომავლისათვის სასურველია, ისინი კიდევ უფრო მიზანმიმართული, უფრო პრობლემური გახდეს და გვიკარნახოს იმ ამოცანათა გადაწყვეტის კონკრეტული გზები, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებთ დღეს რესპუბლიკის, ქვეყნის კომუნისტებს, ყველა შრომელს. ყველას თავისი სამუშაო უბანი აქვს და ყოველი კომუნისტი მთლიანად უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის წინაშე.

## პარტიული აქტივის კრების რეზოლუციიდან:

**საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს:**

— ღრმად გააანალიზონ ადგილებზე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, შეიმუშაონ და განახორციელონ არსებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელობის სპეციფიკას, ამ საქმეს მოეკიდონ ცოდნითა და საჭირბოროტო ამოცანათა გაგებით.

— გააქტიურონ მართლწესრიგის, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სამუშაო ჯგუფების საქმიანობა;

— აამაღლონ პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და ავტორიტეტი, სამართალდაცვითი ორგანოების კომუნისტთა ავანგარდული როლი სახელმწიფო დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანათა გადაწყვეტაში;

— სისტემატურად მუშაობდნენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებზე, აღმოფხვრან ფორმალიზმის ფაქტები შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის შერჩევისას;

— სამართალდაცვითს ორგანოებს მოსთხოვონ არ შეანელონ ბრძოლა ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ და ყოველი ფაქტი მკაცრი პარტიული მსჯელობის საგანი გახადონ.

**ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:**

— გამოავლინონ ყველა პირი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა, შრომითს კოლექტივებში დამკვიდრება და მათ შორის გასაფრთხილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება;

— დააკონკრეტონ შრომაგასწორების კოლონიებში აღმზრდელობითს მუშაობაში მონაწილეობის ღონისძიებანი, ნიადაგ სწვდებოდნენ იმას, თუ როგორ მუშაობენ და სწორდებიან პირები, რომლებიც იხდიან სასჯელს, დაბრუნდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, ვადამდე გაათავისუფლეს და პირობითად არიან მსჯავრდებული;

— გააქტიურონ ყოფითს ნიადაგზე სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიათა მუშაობა.

**პროფკავშირულ ორგანიზაციებს:**

— გააქტიურონ საქმიანობა წარმოების ყველა უბანზე შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველდღიური ყურადღება დაუთმონ პირებს, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება გადაცდომებისა და სამართალდარღვევებისადმი, იზრუნონ მათი პასუხისმგებლობისა და შეგნების ამაღლებისათვის.

**კომკავშირულ ორგანიზაციებს:**

— გააძლიერონ პროფილაქტიკური მუშაობა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის, უფრო მიზანმიმართულად ეწეოდნენ ბრძოლას ახალგაზრდებს შორის მუქთახორობის, ლოთობის, ნარკომანიის, ისეთ ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ, როგორიცაა გულგრილობა, ცინიზმი, სხვის კმაყოფაზე ყოფნა, გამომძალველობა და სხვ.

**პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების მუშაკებს:**

— მიაღწიონ ოპერატიულ და მკაცრ რეაგირებას ბიუროკრატიზმის გამოვლინების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევის ყოველ ფაქტზე, გაძლიერონ კონტროლი მშრომელთა წერილებისა და სიგნალების განხილვისადმი;

— ყოველნაირად გააქტიურონ ბრძოლა იმ არაკეთილსინდისიერი მუშაკებისაგან შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოების გაწმენდისათვის, რომლებმაც ვერ გაამართლეს მაღალი ნდობა. პარტიულ ორგანოებთან ერთად მიაღწიონ სამართალდაცვითი ორგანოების კადრების შერჩევის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

**პარტიული აქტივის კრება გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამინისტროებისა და უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კომუნისტები, მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ სკკა XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნები დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ.** (საქინფორმი).

„კომუნისტი“ ეძიებს რეფერენტებს

# ვიდრე კაკლის რგვა დაიწყება

## დუშელი ახალგაზრდების თაოსნობის პასუხად

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე, რომელმაც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა მოიწონა, საგანგებო ყურადღება მიექცა მცენარეული ზეთის წარმოების გადიდებას და შესაბამისი კულტურების პროდუქტიულობის ზრდას.

ამდენად, მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა კაკალნაყოფიანი მცენარეების გაშენება, მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დუშელ ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ უახლოესი ათწლეული უნდა გამოცხადდეს კაკალნაყოფიანთა გაშენებისა და მოვლა-პატრონობის ათწლეულად, რომლის დროსაც პლანტაციების, ტყე-ბაღებისა და გზისპირების გასწვრივ დარგვით რესპუბლიკას უნდა შეემატოს 2-2,5 მილიონი ძირი კაკალი, რომლის ნარგაობა კატასტროფულად შემცირდა.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სეიოზული ღონისძიებების განხორციელებაა დასახული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის დადგენილებაში „საქართველოში მეკაკლეობის შემდგომი განვითარებისა და თხილ-კაკლის ნარგავების ფართობების გაზრდის შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სატყეო მეურნეობის სამინისტროს „საქტყეთესლსელექცია“ და საბჭოთა მეტყევეობის ინსტიტუტის კაკალნაყოფიანთა რესპუბლიკური საცდელი სპეციალიზებული საწარმო „საქტყეკაკალნაყოფი“, რომლებიც მუშაობენ ძვირფასი ტყის ჯიშების, მათ შორის კაკლის პერსპექტიული ფორმების გამოვლენის, მათი გამრავლების აგროწესების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის. უკვე შემუშავებულია კაკლის საბუთურში მყნობის ტექნოლოგია, რომელიც არსებობად განსხვავდება კაკლის კალმით მყნობის აქამდე არსებული მეთოდისაგან.

წითელხიდის სასელექციო-სატყეო სანერგეში 6 წლის წინათ აშენდა საქართველოში პირველი კაკლის სამყნობი საობუურ-სახელოსნო და წარმოებაში ფართო მასშტაბით დაინერგა აქ შემუშავებული კაკლის საბუთურში მყნობის პროგრესული ტექნოლოგია.

ზემოხსენებული ახალი ტექნოლოგიის შესაბამისად გამოყენებული აგროწესები, რომელიც დაეგზავნა სატყეო და სანერგე მეურნეობებს. გამოსაცემად ეზადება კაკლის სამრეწველო პლანტაციების გაშენების აგროწესები.

გაწეული მუშაობისათვის საწარმო და კალმით მყნობის ახალი ტექნოლოგიის ავტორები დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

ერთ წელიწადში გადის ორ საველეტაციო პერიოდს, ანუ ერთ წელიწადში იძლევა ორი წლის ნაზარდს და სტანდარტულ ზომებს აღწევს. წარმოებაში ამ მეთოდის დანერგვა კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

ნამყენი კაკლის ნერგებით საქმრეწველო პლანტაციების გაშენებისას ნერგი ინარჩუნებს იმ დედა მცენარის ძვირფას გენეტიკურ თვისებებს, რომლიდანაც აიჭრა სამყნობი კალმები (უხვმოსავლიანობა, მსხვილნაყოფიანობა, თხელნაჭუჭიანობა, ცხიმისა და ვიტამინების მაღალი შემცველობა) და ამასთან ერთად ნამყენი ნერგები 5-7 წლით ადრე ისხმენ.

გენეტიკურად ძვირფასი კაკლის ფორმების გამოვლენა და გამრავლება ეროვნული საქმეა, რაშიც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოსახლეობას, თუ დროულად გვაცნობებენ მათ მიერ გამოვლენილი უხვმოსავლიანი, მსხვილნაყოფა, თხელნაჭუჭა და სხვა ძვირფასი გენეტიკური ნიშანთვისების მქონე ხეების ადგილსამყოფელს მათი გამრავლების მიზნით სამყნობი კალმებისა და თესლის შესაძენად.

როგორც საზღვარგარეთ, ეაე ჩვენს ქვეყანაშიც ფართო მასშტაბით ამენებენ სადედე და საშრეწველო პლანტაციებს ნამყენი კაკლის ნერგებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ უარი უნდა ვთქვათ წინასწარ პარობირებული კაკლის თესლებიდან გამოყვანილი საკუთარფესვიანი ნერგებით სამრეწველო პლანტაციების გაშენებაზე. სამრეწველო პლანტაციები უნდა გაშენდეს როგორც ნამყენი, ისე წინასწარ აპრობირებული ხეებიდან მოკრეფილი თესლნერგებით.

სატყეო მეურნეობებში 1961 წლიდან ათასობით ჰექტარი კაკლნარი გაშენდა, მაგრამ ისინი ძალიან მცირემოსავლიანობით ხასიათდებიან, ვინაიდან ადრე კაკლის პლანტაციები შენდებოდა მისთვის შეუფერებელ მიწებზე. კაკალი კი ნიადაგს და გარემო პირობებს გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებს და ყველგან მისი გაშენება არ შეიძლება. ამის შედეგია, რომ ამ ნარგაობათა დიდი ნაწილი ან დაიღუპა, ან დაკნინებულია.

ძველ ნარგაობათა მცირემოსავლიანობა იმის შედეგიცაა, რომ კაკალი, რომელიც სინათლის მოყვარული ჯიშია, შენდებოდა დიდი სიხშირით, რის შედეგად ხეები მხოლოდ სიმაღლეში იზრდებოდნენ და მცირე ზომის ვარჯს ივითარებდნენ, ერთმანეთს ჩრდილავდნენ და ცოტას ისხამდნენ. ასეთი კაკლის ხეები არც სამერქნედ ვარგა, რადგან მის მასალას ჯავრიანობა, ხატოვნება არა აქვს და ვლუვსა და ერთფერადად მერქანს იძლევა.

საქართველოში სატყეო მეურნეობათა მიერ წლების მანძილზე კაკლის პლანტაციების გაშენების გამოცდილებამ დაფიქარწმუნა, რომ გაშენების დროს უნდა გავითვალისწინოთ კაკლის ბიოლოგიური ნიშან-თვისებანი, სინათლისა და ნიადაგის მიმართ გარკვეული მოთხოვნა. ნერგი არ უნდა გაშენდეს მძიმე თიხნარებზე, დამლაშებულ და მაღალი მეავიანობის ნიადაგებზე და იმ ადგილებში, სადაც გრუნტის წყალი ახლოსაა.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ახალშექმნილ „კაკალნაყოფიანთა რესპუბლიკურ საცდელ სპეციალიზებულ საწარმოს“ მიზნად დაუსახა შეარჩიოს მიწის ფართობები რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში კაკლის სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად და საყრდენი პუნქტების მოსაწ

# ქართული სახლი მოსკოვში

**ჩანაწერი,** რომელიც ამას წინათ დატოვა მოსკოვის საგუნდო სასწავლებლის მოსწავლეთა ჯგუფმა მოსკოვში ქართული დასახლების ისტორიის სახლ-მუზეუმში, ბევრი მისი დამთვალიერებლის გრძნობებს გამოხატავს... ისინი ვიწერო ხის კიბეზე ჩამწკრივებულნან, როგორც იმპროვიზებულ სცენაზე, და ასრულებენ ძველებურ ქართულ სიმღერას, პედაგოგმა გ. რაზმაძემ რომ შეასწავლა. ეს ავტოგრაფი დოკუმენტში კი არა, ხსოვნაშია. მაგრამ მუზეუმის მუშაკებისათვის, ყველა ჩვენნანისათვის მას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. სახლი უსიმღეროდ ვერ იცოცხლებს. ეს მუზეუმი კი ეშმარიტად ქართული სახლი გახდა მოსკოვში. თანამშრომელთა, მრავალ მეგობართა და ათასობით დამთვალიერებელთა დამსახურებაა, რომ დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მუზეუმი ასეთი გახდა.

„რა სასიამოვნოა, რომ მოსკოვში არის საქართველოს ასეთი საუცხოო კუთხე. მადლობით — ორლოვების ოჯახი". — „კითხულობთ შთაბეჭდილებათა წიგნში.

„ქეთილი სიტყვები, ქეთილი გრძნობებია. ამ გრძნობამ მოიყვანა აქ ინჟინერ ივგენი ალექსეევის ოჯახიც — მეუღლე, ქალიშვილი, შვილიშვილი.

— ამ სახლში ომის დროს ვცხოვრობდით, — გვითხრა პატივცემულმა ივგენიმ, — მაშინ აქ კომუნალური ბინა იყო. ახლა ახალ რაიონში ვცხოვრობთ. როცა შევიტყვე, რომ ეს სახლი ისტორიული ყოფილა და აქ მუზეუმი გაუხსნიათ, მისი დათვალიერება მომინდა. შვილიშვილიც მოვიყვანე, რომ იგრძნოს კავშირი ჩემს ბავშვობასთან, ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენს ისტორიასთან...

რა სწორად არის ნათქვამი ამასვე ეხება სახლის კედელზე აღბეჭდილი ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებიც იმის შესახებ, რომ „...მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა; და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუასის მიმართ".

კარგია, როცა ეს გრძნობა ბავშვობაში გიჩნდება, „უდიდესი ქმაყოფილებით დავათვალიერეთ თქვენი საინტერესო მუზეუმი. ბევრი რამ გავიგეთ ჩვენი ხალხების მეგობრობის სათავეების შესახებ. ეს დაგვეხმარება ინტერნაციონალური მეგობრობის კეთილ მუშაობაში. გმადლობთ გულითადი მიღებისათვის, გვიმეორეთ. ქ. ქროვეის მოსწავლეთა დელეგაცია".

მუზეუმის მუშაკებს, რომლებიც ემზადებიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულობისათვის, არ დავიწყებიათ მემორიალური სახლის მისიის ის მხარეც. მათ ბევრი რამ გააკეთეს ქართული და რუსული სკოლების კონტაქტების განვითარებისათვის. კერძოდ, აქ მოსკოვის ვ. კიკვიძის სახელობის 823-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა — მუზეუმის დიდი ხნის მეგობრებმა — გაიცნეს სპეციალურად მოწვეული ცხაკაიას მ. გორკის სახელობის სკოლის მოსწავლეები.

აქ იმართება საღამოები, შეხვედრები, რომლებიც, ერთი შეხედვით, დაკავშირებული არ არის ისტორიასთან, სამეზეუმო მუშაობასთან. ამ კედლებში ღღერს ქართული ხალხური სიმღერები და ძველებური რუსული რომანსები საქართველოს მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების ვაჟთა ვოკალური კვარტეტისა და ნანი ბრეგვაძის შესრულებით. კითხულობენ ლექსებს, აწყობენ ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს. ამ დღეებში კი გაიხსნა მოსკოველ მხატვართა ნამუშევრების ვერნისაჟი.

და ყოველივე ეს მუზეუმს აქცევს სახლად, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე მეგობრები, სადაც მრავალნაირ მოდიან, თუ ვიმსჯელებთ იმავე შთაბეჭდილებათა წიგნით, რომელშიც მრავალი ჩანაწერია რუსულ და ქართულ ენებზე. ეს ადასტურებს მეგობრობას, რომელსაც ისტორიაში აქვს გადგმული ფესვები, ეს მოწმობს ქეთილ გრძნობებს, რომლებიც ქეთილ საქმეებს შთაგაგონებს.

**ი. სუდაკოვა,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის მუზეუმის დირექტორის თეიმურაზ ბადურაშვილის კომენტარი:**

— მემორიალური სახლი მოსკოვში ჩვენი მუზეუმის ფილიალია. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა დედაქალაქის სტუმართა შორის და მოსახლეობაში. მის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, რომელსაც უჩვენებენ მთელი ქვეყნის კინოთეატრებში. იგი გადასცეს ცენტრალური ტელევიზიითაც. დიდ ინტერესს იწვევს მუზეუმისა და მისი ფილიალის მიერ მოწყობილი მუდმივმოქმედი ლექტორიუმი მოსკოვში მეცნიერთა სახლისა და ლენინგრადში პუშკინის სახლის ბაზაზე. ლექტორიუმის მიზანია პროპაგანდა გაუწიოს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. სიტყვამ მოიტანა, და ქალაქ გეორგიევსკის ხელმძღვანელობის თხოვნით ასეთსავე ლექტორიუმს იქაც მოვაწყობთ.

გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვში დონის მონასტრის კედელზე გავაკრავთ მემორიალურ დაფას, რომელზეც მოცემული იქნება მოკლე ცნობები იქ დასაფლავებულ ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების — არჩილ II, ალექსანდრე არჩილის ძის — რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმაისტერის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა შესახებ. ზოგიერთი საფლავი ახლახან აღმოაჩინეს მემორიალურ სახლის თანამშრომლებმა ჭიუსევის სახელობის არქიტექტურის მუზეუმის მეცნიერებთან ერთად.

ფედაქალაქის მეტროს სადგურის „სოკოლის" რაიონში დადგამენ სტელას წარწერით თვალსაჩინო ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, მწერლისა და განმანათლებლის სულხან-საბა ორბელიანის შესახებ, რომელიც აქ 1725 წელს დაკრძალეს, აგრეთვე მემორიალურ დაფას იმის შესახებ, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აქ იყო ქართველთა დასახლება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმობის გეგმით გათვალისწინებულია მოსკოვში მოეწყოს გამოფენა თემაზე „მარად ერთად". უკვე დავდეთ ხელშეკრულება ერთობლივი მუშაობის შესახებ საკავშირო მუზეუმებთან — რევოლუციის, სახელმწიფო-ისტორიულ და ჭიუსევის სახელობის არქიტექტურის მუზეუმებთან. ეს მუზეუმები ეექსპოზიციისათვის გადმოგვცემენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის უძვირფასეს მასალებს. მას თბილისშიც ვაჩვენებთ.

ამავე გეგმით გათვალისწინებულია მოვაწყოთ გამოფენები სოფელ გუდაურში — საქართველოს სამხედრო გზაზე და გეორგიევსკში, მოსკოვის მემორიალური სახლის წინ დავდგათ ბრინჯაოს გორელიეფი „მეგობრობა", ახალციხეში გავხსნათ მეგობრობის მუზეუმი, მოვაწყოთ სხვა ღონისძიებანი. (საქინფორმი).



# მაგიდის ჩოგბურთი დღის წესრიგშია სპარტაკიადა

**ვაგრძელებთ საუბარს წლევანდელი სპორტული სეზონის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების — სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადების თაობაზე. გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მაგიდის ჩოგბურთში ნოდარ ბელაძეს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს:**

**როგორც სპორტული პრესა იუწყებოდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა წლევანდელ, VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამას ორი ხანა ობა — მაგიდის ჩოგბურთი და სინქრონული ცურვა დაემატა. ოღონდ ეს ინფორმაცია ცოტაოდენ დაზუსტებას მოითხოვს, რადგან უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ მაგიდის ჩოგბურთი დაუბრუნდა სპარტაკიადას, ვინაიდან 1963 წლის III სპარტაკიადის შემდეგ მცირე ჩოგანი ალარ გამოჩენილა მომდევნო სპარტაკიადებზე და ახლა კვლავ, 20-წლიანი შესვენების შემდეგ ჩართეს სპარტაკიადის პროგრამაში. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა მაგიდის ჩოგბურთის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში. უმაღლესი დაოსტატების სკოლაში მაგიდის ჩოგბურთის განყოფილებაც კი დაიხურა. მხოლოდ ხარქოს სარხოიანის წარმატებებმა ქმნა ჩვენს რესპუბლიკაში მაგიდის ჩოგბურთის კეთილდღეობის ილუზია. ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით დიდი წარმატებების იმედი არა გვაქვს. მამაკაცებისათვის მეთერთმეტე ადგილს ვვარაუდობთ, ქალებისათვის კი მეთხუთმეტის. ნაკრები გუნდის შემადგენლობაშიც ვეტერანები სჭარბობენ. სახსარტაკიადად ახალგაზრდებთან ერთად ემზადებიან ხარქოს სარხოიანი, თემურ რამაზაშვილი, ჯემალ მელაძე, ნიმელა პარფენიდი, მაგდა პაპუკაშვილი და სხვები. გუნდს სპორტის ოსტატი რობერტ კუდაშვილი ამზადებს. თემურ ვლის ბოლო რიცხვებიდან რესპუბლიკის ნაკრები ამზანაგურ სამატჩო შეხვედრებს გამართავს მოკავშირე რესპუბლიკების ძლიერ კოლექტივებთან. ეს შეხვედრები, უდავოდ, ხელს შეუწყობს სპარტაკიადისათვის ჩვენი გუნდის უკეთ მომზადებას.**

## სახეობის სავიზიტო ბარათი

**საქართველოში** მაგიდის ჩოგბურთელთა პირად-გუნდური ჩემპიონატები იმართება 1952 წლიდან. საქართველოდან ყველაზე დიდი წარმატებანი საკავშირო თუ უცხოეთის სარბიელზე მოპოვებული აქვს ბათუმელ სარქის სარხოიანს. იგი მსოფლიო, ევროპის, სტუდენტთა მსოფლიო და საკავშირო ჩემპიონატებში სულ 46 მედალს დაეუფლა. მის აღზრდაში და დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ბათუმელ კარლო გუგუშვილს.

აქამდე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში მაგიდის ჩოგბურთი მხოლოდ ორჯერ იყო შეტანილი: 1959 (მეორე სპარტაკიადა) და 1963 (მესამე) წლებში. 1959 წელს საქართველოს ნაკრებმა დაიკავა მეცხრე ადგილი, ხოლო 1963 წელს — მეხუთე.

## სატურნირო ორბიტა

**ფიგურული ციგურაობა.** დორტმუდში (გფრ) დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. ბოლო სახეობაში — მოცეკვავეთა შორის შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები ოქროსა და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. აქ უძლიერესნი იყვნენ ნატალია ბესტემიანოვა და ანდრია ბუკინი, ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდნენ ოლღა ვოლოვინსკაია და ალექსანდრე სვინნინი. მესამე ადგილი წილად ხვდა კ. ბარბერსა და ნ. სლეიტერს (ინგლისი).

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** სესტრიერეს (იტალია) ტრასებზე, სადაც იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, 18 წლის ლეონიდე მელნიკოვმა (მოსკოვის ოლქი) საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად მოიპოვა ოქროს მედალი ალპურ ორჭიდში (სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი). ერთი დღით ადრე მან სპეციალურ სლალომში მესამე ადგილი დაიკავა.

**მაგიდის ჩოგბურთი.** მოსკოვში, სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის (პირველი ლიგა) ბოლოსწინა ტურში დამარცხა ფინეთის ნაკრები — 7:0.

**ბიატლონი.** ბაკურიანში საკავშირო თასის გათამაშების ბოლო სახეობა. იყო ამანათრანები 4X7,5 კილომეტრზე. ნაკრებ გუნდებს შორის გაიმარჯვა შერეულმა კვადრატმა მინსკელ ნ. ილინის, მურმანსკელი ა. ზენკოვის, სვერდლოვსკელი ს. კიდინოვის და მოსკოვის ოლქელი ა. ნიპაინის შემადგენლობით — 1 საათი, 35 წუთი და 48 წამი.

**ცურვა.** შვეიცის ქალაქ ბორლანგში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრება კიეველმა სვიატოსლავ სემიონოვმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოში მეორე შედეგით (25-მეტრიან აუზში) დაამთავრა — 14 წუთი და 51,40 წამი.

**მძლეოსნობა.** ახალი მსოფლიო რეკორდი (დარბაზში) დაამყარა ჭოკთ ხტომაში ბილი ოლსონმა (აშშ). მისი შედეგი 580 სმ.

**კალათბურთი.** კაუნასში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. აგდილობრივმა „ყალგირისმა" დამარცხა მოსკოვის „დინამო" — 100:77.

**ხელბურთი.** რიგასა და ჩელიაბინსკში გრძელდება უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (თბილისის „ქარაშხალა") რიგაში ასპარეზობს. შეჯიბრების მეორე დღეს იგი შეხვდა ლენინგრადის „ნევას" და დამარცხდა ანგარიშით 32:38.

## უკანასკნელ საათს

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ ორ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები. ადგილები ასე განაწილდა: **71 კილოგრამამდე წონა.** 1. გია გოგოლაური (საქართველო), 2. თამაზ ნამგალაური (საქართველო), 3. უმარ მარაევი (სსრკ, მოსკოვი) და ტაკაჰირო ნასილო (იაპონია); **65 კილოგრამამდე წონა.** 1. ნიკოლოზ სოლოდუხინი (სსრკ, კურსკი), 2. ფიოტუზ მარგიანი (სსრკ, ოდესა), 3. ნორიკ მკრტუმიანი (სსრკ, რიაზანი) და ესიუკი მაცუოკა (იაპონია).



# კვლავ თბილისში ქართული

**საერთაშორისო ტურნირი თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე**

**ძიუდოისტთა** საერთაშორისო ტურნირის პირველ ორ დღეს თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე 23 ქართველი სპორტსმენი ვიხილეთ. მათ შორის იყვნენ აღიარებულნიცა და ის ახალგაზრდებიც, რომელთაც ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებთ ოსტატობის დახვეწისათვის. პირველ დღეს 95 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ისასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის ექვსმა წარმომადგენელმა, მძიმე წონაში კი ხუთმა სცადა ძალები.

95 კილოგრამამდე წონის ათლეტებს შორის სამმა (მალხაზ ბერუაშვილმა, თემურ ხუბულურმა და ბორის გოგიჩაშვილმა) დასკვნითი ორთაბრძოლებისკენ (საუკეთესო ოთხეულში) გაიკაფა გზა, მეორე სამეული (ტარიელ მუთოშვილი, ალექსი ხაჩიძე და შერმადინ მიქელაძე) კი პირველ წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას. ცხადია, როცა საუკეთესო ოთხეულში ერთი რესპუბლიკიდან სამი ათლეტი მოხვდება, პირველი ადგილის მოპოვების შანსებიც დიდია, მაგრამ... კაცი ბეჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამ ოთხეულში ქართველი ათლეტების ერთადერთმა მეტოქემ ნოვოკუზნეცკელმა ვასილ ნესვეტაილოვმა ნახევარფინალში ბორის გოგიჩაშვილს აჯობა, შემდეგ კი ფინალში მალხაზ ბერუაშვილთან 4 წუთსა და 10 წამში წმინდა გამარჯვება და, ცხადია, პირველობაც მოიპოვა. საბოლოოდ საქართველოს ათლეტები მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ: ბერუაშვილი მეორე იყო. ხუბულურს (იგი ბერუაშვილთან ორთაბრძოლაში დამარცხდა) და გოგიჩაშვილს წილად მესამე ადგილები ერგოთ. ბერუაშვილმა ამ ადგილისათვის შეხვედრა მოუგო იაპონელ კინგილო მოტოტანს, გოგიჩაშვილმა — ულფ რეტიგს (ბდრ).

მძიმე წონაში მოსასპარეზე ხუთი ქართველი ათლეტიდან ოთხი პირველსავე წრეში დამარცხდა (ავთანდილ გუბელაძე, აკაკი კიბორძალიძე, ბეკა კობერიძე და ნოდარ ხუგაზარიშვილი), ერთმა კი (დიმიტრი ოქროუაშვილი) მეორე წრეში იწვნია დამარცხება. ამ უკანასკნელს სანუგეშო ჯგუფში ასპარეზობის უფლება დარჩა, მაგრამ ამ ეტაპის პირველივე შეხვედრა წააგო და საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა.

მეორე დღეს, უკვე 78 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში, ისევე როგორც 95 კილოგრამამდე წონაში, კვლავ სამმა ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა საუკეთესო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება (თამაზ კარიაულმა, მალხაზ ალბორიშვილმა და აბესალომ წიკლაურმა). ამჯერად უკვე ჩვენმა ძიუდოისტმა კარიაულმა იმარჯვა. მან ნახევარფინალში სძლია ალბორიშვილს, ფინალში კი მოუგო პერმელ ვლადიმერ შესტაკო